ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3498487

ნომერი: AR1534356

თარიღი : 21.08.2017

გაცემის თარიღი : 12.09.2017

გაცნობის თარიღი : 12.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 73 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოე სიხარულიძე პ/ნ 46001001793
- ყიფშიძის ქ. #9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 აგვისტოს №AR1534356 განცხადებით მომართა ნოე სიხარულიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს

№3471742 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებით შეთანხმდა, შეთანხმდეს ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N73-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.12.06.001.047 უმაღლესი სასწავლებლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა: 2017 წლის 14 აგვისტოდან 2017 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 14 აგვისტოდან 2017 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო განმცხადებელი აცხადებს, რომ მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო: 2017 წლის 14 აგვისტოდან 2017 წლის 14 სექტემბრამდე. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ ამავე ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომით არის მითითებული საოფისე ფართობი 5492.04, აღნიშნული ფართობი უნდა განისაზღვროს როგორც სასწავლო აუდიტორიის ფართობი.
სამსახურმა 2017 წლის 21 აგვისტოს №AR1534356 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის დოკუმენტაციას და სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2017 წლის 14 აგვისტოდან 2017 წლის 14 სექტემბრამდე.
2. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული შეცდომა, კერძოდ: ამოღებულ იქნას საოფისე ფართობი 5492.04, სასწავლო აუდიტორიის ფართობად მიეთითოს 5492.04 კვ.მ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 აგვისტოს №3471742 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.